



**საქართველო**  
**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა** N 40 85

29/11/2018

**ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ხონის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3.0კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 37.07.38.316, მის: ქ.ხონი, პ.კაკაბაძის ქუჩა, სადგურის მიმდებარე ტერიტორია) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვაზე.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ძმები ნინუების ქ. #1) ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბახტაძე ვალერი

საკრებულოს თავმჯდომარე

